ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____აგვისტო_____ 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე ვაჭრობის ადგილების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" და ,,მ" ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №136 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის --- აგვისტოს №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ინდივიდუალურად, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტების გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულოს 2026 წლის --- აგვისტო
№--- განკარგულების დანართ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი
1	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №23-ის დასავლეთით	03.03.26.365
2	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გელათის ქუჩა №2-ის დასავლეთით	03.03.21.081
3	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №13-ის მიმდებარედ	03.03.21.308
4	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №3-ის დასავლეთით	03.03.21.148
5	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №7-ის სამხრეთით	03.03.21.082
6	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №1-3-ის დასავლეთით	03.03.21.540
7	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა №12-ის სამხრეთით	03.04.24.330
8	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა №8-ის ჩრდილოეთით	03.03.26.300
9	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №3-ის სამხრეთით	03.03.21.479
10	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილისა და პუშკინის ქუჩის გადაკვეთა	03.03.26.299
11	სკვერი	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი №140 ბინის სამხრეთით	03.04.02.421
12	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, აღმაშენებლის გამზირი №44-ის სამხრეთით	03.04.24.228
13	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №7-ის აღმოსავლეთით	03.03.21.469
14	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №8-ის აღმოსავლეთით	03.03.21.199
15	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №4-ის ჩრდილოეთით	03.03.26.298
16	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებელის მოედანი	03.03.21.097
17	სკვერი	ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №9 სახლის ჩრდილოეთით	03.03.21.362
18	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ცისფერყანწელების ქუჩა №7-ის დასავლეთით	03.03.21.467
19	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის №98-ის აღმოსავლეთით	03.03.26.011
20	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, ფალიაშვილის ქუჩა №29; ქალაქი ქუთაისი, წმინდა ნინოს ქუჩა №4-ის სამხრეთ-დასავლეთით	03.03.21.353
21	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა N9-11	03.04.25.510
22	ტროტუარი	ქალაქი ქუთაისი, იოსებ გრიშაშვილის 35-ის მიმდებარედ	03.04.24.264

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი . დავით ერემეიშვილი